„დამტკიცებულია“
სსიპ საქ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სახოგადოებრივი კოლეჯის
სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 14 დეკემბრის
№ 5 ოქმით

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული პროგრამა

# მწვრთნელი

**(IV საფეხური)**

**თბილისი 2018**

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | მწვრთნელი |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | ედუარდ ფეროიანი |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | მწვრთნელის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია |
| **პროგრამის მოცულობა** | 120 კრედიტი (3000 საათი), აქედან - 67 კრედიტი (1675 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო 53 - კრედიტი (1325 საათი) - პრაქტიკულ კომპონენტს<br><br>კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში. |
| **პროგრამის ხანგრძლივობა** | 76 კვირა |
| **პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების შესაძლებლობა** | 2014 წლის 30 მაისი.<br><br>განახლებადია ყოველწლიურად |
| **სწავლების ენა** | ქართული ენა |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადო კვალიფიციური მწვრთნელი სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სტუდენტები დაეუფლებიან მწვრთნელისათვის აუცილებელ ცოდნას ბიოლოგიაში, ბიოქიმიაში, ბიომექანიკაში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, შეისწავლიან წვრთნის სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| | სტილებს. კურსდამთავრებულები შეძლებენ სპორტული მოძრაობის გაანალიზებას, სპორტსმენთა საკვები რაციონის დადგენას და სპორტის შესაბამის სახეობაში წვრთნის სტარატეგიული გეგმის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) შემუშავებას სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით.<br><br>შეასწავლოს სტუდენტებს სპორტული წვრთნის ზოგად მეთოდური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლები, ის მოვლენები და კანონები, რომელიც საფუძვლად უდევს სპორტის სხვადასხვა სახეების მწვრთნელის ცოდნის ხარისხის ამაღლებას და მიმართულია მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების სრულყოფის გზების დამუშავებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე; |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.<br>საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების ნორმატივების ჩაბარება. |
| **სწავლის შედეგი** | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>მწვრთნელის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელმა იცის:<br>ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების ფიზიოლოგიური საფუძვლები. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აგებულება; ძირითადი ფუნდამენტური და ზოგადი საგანმანათლებლო კურსები და სპორტის საკითხებთან მათი ურთიერთკავშირის განსაზღვრა; სპორტული წვრთნის ძირითადი თეორიული კონცეფციები, სპორტული წვრთნის დაგეგმვისა და ჩატარების პრინციპები, სწავლების დაწყებით საფეხურზე. სპორტის სხვადასხვა სახეობებში კომპლექსური საკითხების გაცნობიერება ტექნიკური ილეთების შესწავლის, შესრულების, ჩვევების გამომუშავებისა და განმტკიცების მეთოდების კუთხით. მათი დეტალური განსაზღვრა და აღწერა; გააცნობიეროს წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემები ფიზიკური პარამეტრების შეფასების საფუძველზე. ინდივიდუალური და ჯგუფური კომპლექსური ვარჯიშების შემუშავების პრინციპები, მათი კლასიფიკაცია სისწრაფის, ძალის, გამძლეობის, სიმარჯვისა და მოქნილობის განვითარებისათვის; მსოფლიოს სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია, ქართველ სპორტსმენთა წარმატებები ოლიმპიურ თამაშებზე, |

| | |
|---|---|
| | მსოფლისა და ევროპის ჩემპიონატებზე.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**<br>შეიმუშაოს ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამები, ეფექტურად გამოიყენოს სპორტული წვრთნის პროცესში ტრენაჟორები და სხვა დამხმარე საშუალებები, რაც შეამცირებს ტრამვების პროცენტულ მაჩვენებელს და უზრუნველყოფს ტექნიკური საშუალებების უსაფრთხოებას; ადამიანის ორგანიზმის ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით შეიმუშავოს სპორტსმენის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა და გააცნობიეროს წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემები ფიზიკური პარამეტრების შეფასების საფუძველზე; სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების პროცესში ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, სპორტთამაშებისა და სპორტის სხვა სახეობების საპროგრამო მასალის მიზანმიმართულად გამოყენება; სპორტული წვრთნის პროცესში განსაზღვროს სპორტსმენის მუშაობის უნარიანობის ამაღლების, ფიზიკური დატვირთვებისადმი ადაპტაციის მეთოდიკა, ჩაატაროს აღმდგენი და ჰიგიენური მასაჟი; შეამოწმოს სპორტსმენის ფიზიკური პარამეტრები, მათი შესაბამისობა ნორმასთან და სპორტული დატვირთვის რეჟიმთან (გასინჯოს არტერიული წნევა, პულსი, სუნთქვის სიხშირე და ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა);<br><br>**დასკვნის უნარი**<br>არსებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრისათვის შესაბამისი ხერხებისა და გზების შერჩევის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და დასკვნის გამოტანა.სპორტის სფეროში ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერა; გამოყენებული ლიტერატურული წყაროების კრიტიკულად შეფასება, დასკვნების გაკეთება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება; ფიზიკური პარამეტრების შეფასების, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამების შემუშავება, სწავლების დაწყებით საფეხურზე. რომლებიც შეამცირებენ მოსალოდნელი ტრავმების პროცენტულ მაჩვენებლებს და უზრუნველყოფენ სპორტული წვრთნის პროცესში |

| | |
|---|---|
| | ტრენაჟორებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენების უსაფრთხოებას;<br><br>**კომუნიკაციის უნარი**<br>პროფესიულ სპორტულ საზოგადოებაში, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი პოზიციების დაცვა და აზრის ჩამოყალიბება; მშობლიურ ენაზე იდეების, სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;<br><br>**სწავლის უნარი**<br>ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია: ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პროირიტეტებზე; მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. მწვრთნელის მომზადების პროგრამის IV საფეხურის გავლის შემდეგ შეუძლია ადეკვატურად განსაზღვროს პროფესიული და შემოქმედებითი ზრდის განსხვავებული ვარიანტები, აირჩიოს კონკრეტული მიმართულება.<br><br>**ღირებულებები**<br>გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა; შეუძლია კოლექტივში მუშაობა, პროფესიული ეთიკის დაცვა, ითვალისწინებს სამუშაოს დამკვეთის სურვილს, შეუძლია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება, იცავს წვრთნის პროფესისთვის განსაზღვრულ უსაფრთხოების ნორმებს. იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს; იცავს სპორტსმენებს შორის, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს და მოქმედებს მათ შესაბამისად; კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას სპორტსმენთა მიმართ. 1. ცოდნა და გაცნობიერება. |
| **სწავლების ფორმატი** | ლექცია;<br><br>პრაქტიკული მეცადინეობა. |

| | |
|---|---|
| | |
| **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები** | გამოყენებულია სწავლა/ სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის:<br>*სამუშაო ჯგუფში* პრაქტიკული მეცადინეობა - პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები.<br>*ჯგუფური (collaborative) მუშაობა* - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში.<br>პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები:<br>*როლური და სიტუაციური თამაშები* - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებულებას, გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.<br>*დემონსტრირების მეთოდი* - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/ პრობლემის არსს.<br>ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს კურსის განმახორციელებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სადაც განსაკუთრებულ |

| | |
|---|---|
| | დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.<br>ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გადაცემა. ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია პრესკონფერენცია, მოწვეული სტუმარი, ინფორმაციული ლექცია და ა.შ.<br>პრეზენტაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური.<br>სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დეტალურად გაწერილია სილაბუსებში. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;<br>➢ (**A**) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;<br>➢ (**B**) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;<br>➢ (**C**) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;<br>➢ (**D**) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;<br>➢ (**E**) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;<br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>➢ (**FX**) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>➢ (**F**) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.<br>დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს: |

| | |
|---|---|
| | ა) შუალედურ შეფასებას;<br>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.<br>პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.<br>პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში).<br>პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.<br>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (**FX)** ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.<br><br>პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში. |

| № | სასწავლო კურსები/მოდულები/კურსები | სწავლის შედეგები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| 1 | ინგლისური ენა | X | X | | X | X | |
| 2 | საინფორმაციო ტექნოლოგიები | X | X | | | X | X |
| 3 | ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა | X | X | | | X | |
| 4 | ადამიანის ანატომიის საფუძვლები | X | X | X | | | X |
| 5 | სპორტის ოლიმპიზმის ისტორია | X | | X | | X | X |
| 6 | სპორტული ნაგებობა | X | X | | | X | |
| 7 | პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება | X | X | | X | X | X |
| 8 | სპეციალიზაცია (არჩევითი სახეები) | X | X | X | X | X | X |
| 9 | ტანვარჯიში | X | X | X | X | X | X |
| 10 | პედაგოგიკა | X | X | X | X | X | X |
| 11 | სპორტული მედიცინა, ჰიგიენა და მასაჟი | X | X | X | | X | |
| 12 | სპორტული თამაშები | X | X | X | X | X | X |
| 13 | ზოგადი ფსიქოლოგია | X | X | X | | X | X |
| 14 | მოძრავი თამაშები | X | X | X | | X | X |
| 15 | ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები | X | X | X | | X | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (ზოგადი, სპორტული) | | | | | | |
| 16 | სპორტისფსიქოლოგია | X | X | X | X | X | X |
| 17 | სპორტული წვრთნის საფუძვლები | X | X | X | | | X |
| 18 | მძლეოსნობა | X | X | X | X | | |
| 19 | ცურვა | X | X | X | X | | X |
| 20 | ადაპტიური ფიზიკური აღზრდა და სპორტი | X | X | X | | X | X |
| 21 | სპორტული მენეჯმენტი | X | X | X | X | X | X |
| 22 | საკურსო სამუშაო | X | X | X | | | X |
| 23 | საწვრთნო პრაქტიკა | | X | X | X | X | X |

# სასწავლო გეგმა

**I** სემესტრი

| № | საგნების დასახელება | კრედიტი | საათების რაოდენობა | | | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | პრაქტიკული მეცადინეობა | შუალედური შეფასება | დასკვნითი გამოცდა | დამოუკე. საათები | |
| **1** | ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა-1 | **3** | 13 | 30 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **2** | ადამიანის ანატომიის საფუძვლები-1 | **4** | 10 | 33 | 2 | 2 | 53 | **100** |
| **3** | სპორტის ოლიმპიზმის ისტორია | **5** | 10 | 33 | 2 | 2 | 78 | **125** |
| **4** | სპორტული ნაგებობები | **3** | 8 | 35 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **5** | პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება | **3** | 8 | 35 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **6** | სპეციალიზაცია (არჩევითი სახეები) (სასწავლო პრაქტიკა)-1 | **3** | 8 | 50 | 2 | 2 | 13 | **75** |
| **7** | მძლეოსნობა (სასწავლო პრაქტიკა) | **3** | 7 | 36 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **8** | უცხო ენა (ინგლისური)-1 | **1.5** | 10 | 18 | 2 | 2 | 5,5 | **37,5** |
| **9** | ინფორმაციული ტექნოლოგიები-1 | **1.5** | - | 28 | 2 | 2 | 5,5 | **37,5** |
| **10** | ქართული აკადემიური წერა | **2** | - | 28 | 2 | 2 | 18 | **50** |
| **11** | ზოგადი ფსიქოლოგია-1 | **1** | 7 | 6 | 2 | 2 | 8 | **25** |
| | სულ | **30** | *81* | *332* | *22* | *22* | *293* | **750** |

**II** სემესტრი

| № | საგნის დასახელება | კრედიტი | საათების რაოდენობა | | | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | პრაქტიკული მეცადინეობა | შუალედური შეფასება | დასკვნითი გამოცდა | დამოუკე. საათები | |
| **1** | ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა-2 | **3** | 13 | 30 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **2** | ადამიანის ანატომიის საფუძვლები-2 | **3** | 9 | 34 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **3** | პედაგოგიკა-1 | **3** | 5 | 38 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **4** | ცურვა (სასწავლო პრაქტიკა) | **3** | - | 43 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **5** | სპეციალიზაცია (არჩევითი სახეები) (სასწავლო პრაქტიკა)-2 | **3** | 8 | 50 | 2 | 2 | 13 | **75** |
| **6** | სპორტული თამაშები (სასწავლო პრაქტიკა)<br>- ხელბურთი,<br>- ფეხბურთი, | **4**<br>**(2)**<br>**(2)** | 4<br>(2)<br>(2) | 52<br>(26)<br>(26) | 4<br>(2)<br>(2) | 4<br>(2)<br>(2) | 36<br>(18)<br>(18) | **100**<br>**(50)**<br>**(50)** |
| **7** | ზოგადი ფსიქოლოგია-2 | **2** | 12 | 16 | 2 | 2 | 18 | **50** |
| **8** | უცხო ენა (ინგლისური)-2 | **1.5** | 10 | 18 | 2 | 2 | 5,5 | **37.5** |
| **9** | ინფორმაციული ტექნოლოგიები-2 | **1.5** | - | 28 | 2 | 2 | 5,5 | **37.5** |
| **10** | მოძრავი თამაშები (სასწავლო პრაქტიკა) | **3** | - | 43 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **11** | საწვრთნო პრაქტიკა-1 | **3** | - | 40 | - | 2 | 33 | **75** |
| | სულ | **30** | *61* | *392* | *22* | *24* | *251* | **750** |

**III** სემესტრი

| № | საგნის დასახელება | კრედიტი | საათების რაოდენობა | | | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | პრაქტიკული მეცადინეობა | შუალედური შეფასება | დასკვნითი გამოცდა | დამოუკე. საათები | |
| **1** | ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული)-1 | **3** | 9 | 34 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **2** | პედაგოგიკა-2 | **3** | 5 | 23 | 2 | 2 | 43 | **75** |
| **3** | სპორტული მედიცინა, ჰიგიენა და მასაჟი-1 | **5** | 10 | 33 | 2 | 2 | 78 | **125** |
| **4** | სპეციალიზაცია (არჩევითი სახეები) (სასწავლო პრაქტიკა)-3 | **2** | 6 | 22 | 2 | 2 | 18 | **50** |
| **5** | სპორტული თამაშები (სასწავლო პრაქტიკა)<br>- კალათბურთი,<br>- ფრენბურთი,<br>- ჩოგბურთი | **6**<br>**(2)**<br>**(2)**<br>**(2)** | 6<br>(2)<br>(2)<br>(2) | 78<br>(26)<br>(26)<br>(26) | 6<br>(2)<br>(2)<br>(2) | 6<br>(2)<br>(2)<br>(2) | 54<br>(18)<br>(18)<br>(18) | **150**<br>**(50)**<br>**(50)**<br>**(50)** |
| **6** | სპორტის ფსიქოლოგია | **4** | 15 | 43 | 2 | 2 | 38 | **100** |
| **7** | სპორტული წვრთნის საფუძვლები (სასწავლო პრაქტიკა) | **3** | 13 | 30 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **8** | ტანვარჯიში (სასწავლო პრაქტიკა) | **3** | 5 | 38 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **9** | საერთო ფიზიკური მომზადება (სასწავლო პრაქტიკა) | **1** | - | 13 | 2 | 2 | 8 | **25** |
| | სულ | **30** | *69* | *314* | *22* | *22* | *323* | **750** |

**IV**სემესტრი

| № | საგნის დასახელება | კრედიტი | საათების რაოდენობა | | | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | პრაქტიკული მეცადინეობა | შუალედური შეფასება | დასკვნითი გამოცდა | დამოუკე. საათები | |
| **1** | ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული)-2 | **4** | 10 | 33 | 2 | 2 | 53 | **100** |
| **2** | სპორტული მედიცინა, ჰიგიენა და მასაჟი-2 | **3** | 8 | 35 | 2 | 2 | 28 | **75** |
| **3** | სპეციალიზაცია (არჩევითი სახეები) (სასწავლო პრაქტიკა)-4 | **2** | 6 | 22 | 2 | 2 | 18 | **50** |
| **4** | ადაპტიური ფიზიკური აღზრდა და სპორტი | **3** | 10 | 18 | 2 | 2 | 43 | **75** |
| **5** | სპორტული მენეჯმენტი | **3** | 10 | 18 | 2 | 2 | 43 | **75** |
| **6** | ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია | **2** | 12 | 16 | 2 | 2 | 18 | **50** |
| **7** | საკურსო სამუშაო (სასწავლო პრაქტიკა) | **5** | - | 45 | - | 2 | 78 | **125** |
| **8** | საწვრთნო პრაქტიკა-2 | **8** | - | 100 | - | 2 | 98 | **200** |
| | სულ | **30** | *56* | *287* | *12* | *16* | *379* | **750** |

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფერო** | სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები სპორტის სახეობების მიხედვით როგორც ინდივიდუალურად მუშაობისათვის, ასევე სპორტულ ფედერაციებთან, სპორტულ კლუბებთან და სხვადასხვა კვალიფიკაციის გუნდებთან თანამშრომლობისათვის.<br><br>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია მატერიალური რესურსები** | პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროგრამის კატალოგი, რომელიც მოცემულია დაწესებულების ვებგვერზე. ამავე მიზნით სტუდენტებს სწავლის დაწყებისთანავე ეძლევათ პროგრამის კატალოგი, სილაბუსები,მეცადინეობის ცხრილები, სადაც მოცემულია მათთვის აუცილებელი ინფორმაცია. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი საინფორმაციო-ტექნოლო-გიური და საბიბლიოთეკო რესურსით. პროგრამის შესაბამისად არსებობს სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები სხვა ტექნიკური ბაზა, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის.<br><br>საწარმო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება:<br><br>ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი დადებულია ყველა სპეციალიზაციების მიხედვით. |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

| კურსის დასახელება | სახელი, გვარი | კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა | მანუჩარ დვა;ლი | სამკურნალო ფიზ. კულტურა და რეაბილიტაცია, მეთოდისტი |
| ადამიანის ანატომიის საფუძვლები | მარიამ ბალაშვილი<br>დალი კილაძე | ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| სპორტის ოლიმპიზმის ისტორია | ნონა ოქონაშვილი | მასწავლებელი |
| სპორტული ნაგებობა | ჯემალ კვანტალიანი | მასწავლებელი |
| პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება | ნანა მალანია<br>ქეთევან კაკაბაძე | ექიმი<br>ექიმი |
| სპეციალიზაცია (არჩევითისახეები) | | |
| ტანვარჯიში | მანანა მნათობიშვილი<br>ნიკო ლეშკაშელი | |
| უცხო ენა (ინგლისური) | ლელა ალექსიძე<br>ეკატერინე ზუხბაია | ინგლისური ენის სპეციალისტი |
| ინფორმაციული ტექნოლოგიები | ვლადიმერ ჯიოევი | საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი |
| ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული) | სოფიო ცაციაშვილი | ექიმი |
| პედაგოგიკა | ქეთევან ბუაძე | მასწავლებელი, პედაგოკიკის მეცნიერებათა კანდიდატი |
| სპორტული მედიცინა, ჰიგიენადამასაჟი | ნათია ლეშკაშელი | მასწავლებელი |
| აკადემიური წერა | დარეჯან ქურციკიძე | მასწავლებელი, ქართული ენა და ლიტერატურა |
| მოძრავი თამაშები | ზვიად მიქაძე<br>სულიკო ხურცილავა | მასწავლებელი<br>მასწავლებელი |

| | | |
|---|---|---|
| **სპორტული თამაშები**<br>- **კალათბურთი,**<br>- **ფრენბურთი,**<br>- **ჩოგბურთი**<br>- **ხელბურთი**<br><br><br>- **ფეხბურთი** | სულიკო ხურცილავა<br>ელდარ კაპანაძე<br>ზვიად მიქაძე<br>თორნიკე კიკნაველიძე<br>დავით ისლამოვი<br>ტრისტან გულბიანი,<br>თამაზ ჯაში<br>ილია ხიპაშვილი | <br>მასწავლებელი<br>მასწავლებელი<br>მასწავლებელი<br>მასწავლებელი<br>მასწავლებელი<br>მასწავლებელი<br>მასწავლებელი<br>მასწავლებელი |
| **ზოგადი და სპორტული ფსიქოლოგია** | მარიამ იაშაღაშვილი<br>მარიამ პაპიაშვილი | ფსიქოლოგი<br>ფსიქოლოგი |
| **სპორტული წვრთნის საფუძვლები** | მანუჩარ დვალი<br>გიორგი ჩახვაშვილი | მასწავლებელი<br>მასწავლებელი |
| **მძლეოსნობა** | მერაბ მაისურაძე<br>ნელი გრიგალაშვილი | მასწავლებელი<br>მასწავლებელი |
| **ცურვა** | ირაკლი ქორჩილავა<br>ვლადიმერ პარაფილოვი | მასწავლბელი |
| **ადაპტიური ფიზიკური აღზრდა და სპორტი** | ნონა ოქონაშვილი | მასწავლებელი |
| **სპორტული მენეჯმენტი** | გიორგი ჩახვაშვილი | მასწავლებელი |
| **საერთო ფიზ. მომზადება** | გივი გოგოძე | მასწავლებელი |
| **ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია** | მარიამ იაშაღაშვილი<br>მარიამ პაპიაშვილი | ფსიქოლოგი<br>ფსიქოლოგი |

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:** პროფესიული პროგრამა ერთსაფეხურიანია.